საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/123

ქ. ბათუმი 26 სექტემბერი, 2018 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018-2019 სასწავლო წლისათვის დამატებითი მიღების გამოცხადების, მიმღები, საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 47 [2] მუხლების, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის № 111/ნ ბრძანების, ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 4 სექტემბრის N26/ნ ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 სექტემბრის № 75 დადგენილების, ,,ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 სექტემბრის N93 დადგენილების, ,,ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 სექტემბრის N93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 სექტემბრის N97 დადგენილების, ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პროფესორ ლელა თავდგირიძის 2018 წლის 26 სექტემბრის MES 3 18 01221676 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გამოცხადდეს დამატებითი მიღება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. აპლიკანტთა რეგისტრაცია განხორციელდეს მიმღებ კომისიაში, 2018 წლის 27 სექტემბრიდან 01 ოქტომბრის ჩათვლით, ყოველდღე, 10 საათიდან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, მესამე კორპუსი, ოთახი №323.

3. აპლიკანტმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება და ანკეტა (შევსებული **დანართი 1-ის** და **დანართი 2-ის** შესაბამისად);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;

გ) მიმართულების შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (გაცემული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ);

დ) ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (თანდართული დანართით) ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - უნივერსიტეტის მიერ დამოწმებული, 2018 წლის კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ);

ე) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე, ელექტრონული ვერსია CD დისკზე;

ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის).

4. **მისაღები გამოცდები ჩატარდეს 2018 წლის 02 ოქტომბერს** (გამოცდის დაწყების დრო - 10^{00} საათი) ბსუ-ს საგამოცდო ცენტრში (მისამართი: ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ადმინისტრაციული შენობა - ბათუმი, ფიროსმანის ქ. 12).

5. **გამოცდის შედეგები გამოცხადდეს 2018 წლის 02 ოქტომბერს,** ბსუ-ს ვებგვერდის მეშვეობით (აპლიკანტების პირადი ნომრების მითითების გარეშე).

6. საპრეტენზიო განცხადებები (არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი იქნეს 2018 წლის 03 ოქტომბერს, მიმღებ კომისიაში, ხოლო **პასუხები გაიცეს 2018 წლის 03 ოქტომბერს** ბსუ-ს ვებგვერდის მეშვეობით (აპლიკანტების პირადი ნომრების მითითების გარეშე).

7. **გამოცდის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2018 წლის 03 ოქტომბერს** ბსუ-ს ვებგვერდზე და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

8. გამოცდაზე დასასწრებად აპლიკანტმა უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი (დაგვიანებული კონკურსანტი გამოცდაზე არ დაიშვება).

9. დამტკიცდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციისათვის მიმღები კომისიის, საგამოცდო კომისიისა და საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა **დანართი N3**-ის შესაბამისად.

10. წინამდებარე ბრძანებით შექმნილ კომისიებს ეთხოვოს „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №

111/ნ ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 სექტემბრის № 75 დადგენილებისა და ამ ბრძანების შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.

11. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს დაევალოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთა რანჟირების დოკუმენტის შედგენა და არაუგვიანეს 2018 წლის 04 ოქტომბრისა ბსუ-ს ვებგვერდზე განსათავსებლად წარდგენა.

12. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე **ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2018 წლის 04 ოქტომბერს (10:00 სთ-დან) 15:00 სთ-მდე** (ხელშეკრულების გაფორმების ადგილის შესახებ აპლიკანტებს ეცნობოთ ბსუ-ს ვებგვერდის მეშვეობით).

13. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ **ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2018 წლის 04 ოქტომბერს,** შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის/ფაკულტეტის უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.''

14. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა (პროფესორმა ლელა თავდგირიძემ)/ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს: წინამდებარე ბრძანების აღსრულების, გამოცდის ჩატარების ფორმატისა და სხვა ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსების ორგანიზება; პროგრამაზე პირთა ჩარიცხვის აქტის მომზადებისა და გამოცემის შემდეგ 2018 წლის 05 ოქტომბრამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნის კოორდინაცია; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 14 ოქტომბრის ჩათვლით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით წარდგენა.

15. დაევალოს კანცელარიას ბრძანება განათავსოს კანცელარიასთან და შესაბამის ფაკულტეტთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

16. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები", რექტორის ბრძანებებში და ასევე განათლების ფაკულტეტის ველში).

17. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ზუსტ. მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანს ლელა თურმანიძეს, ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესორ ლელა თავდგირიძეს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიების წევრებს.

18. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 26 სექტემბრის №_____ბრძანების
01-08/123
დანართი 1.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორს, _____

_____

(სახელი, გვარი)

_____

_____ (მისამართი,

ტელეფონი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს ჩავირიცხო და ვისწავლო ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მოდულზე

_____

პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის
მითითებით

_____ „_____“ „_____“ 201 წელი

განმცხადებლის ხელმოწერა

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 26 სექტემბრის № 01-08/123 ბრძანების

დანართი 2.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აპლიკანტის ანკეტა

სახელი ----------

გვარი ----------

დაბადების თარიღი ___/____/_____

რიცხვი თვე წელი

პირადი ნომერი_____

ფაქტობრივი მისამართი ----------

რეგისტრაციის მისამართი ----------

სქესი: □ მამრობითი □ მდედრობითი

მობილური/ტელეფონი ----------

ელ-ფოსტა: ----------

ფაკულტეტი ----------

სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა ----------

პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით ----------

---

საგნის გამოცდა (ჩაბარებული გამოცდების ეროვნულ ცენტრში) ----------

მიღებული განათლება :

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ფაკულტეტი, სპეციალობა	კვალიფიკაცია	სწავლის პერიოდი

რომელ ენებს ფლობთ?

_____

_____

- ამჟამად ხართ თუ არა რომელიმე უმაღლესი/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი/მასწავლებელი? (დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება და სტატუსი)

_____

_____

ვადასტურებ მითითებული ინფორმაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეს. ჩემთვის ცნობილია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისა და სწავლის პირობები.

_____

(აპლიკანტის ხელმოწერა)

_____

(რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა) თარიღი

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 26 სექტემბრის № 01-08/123 ბრძანების

დანართი №3

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმღები კომისია

1. ბესიკ ციცაგი
2. შოთა ჯვართავა
3. ქეთევან თადუმაძე

საგამოცდო კომისია

1. პროფესორი გული შერვაშიძე - თავმჯდომარე
2. ასოცირებული პროფესორი ნანა მაკარაძე - წევრი
3. პროფესორი ლელა თავდგირიძე - წევრი
4. ასოცირებული პროფესორი ნათია ფარტენაძე - წევრი
5. ასოცირებული პროფესორი ნანი მამულაძე - წევრი
6. ასოცირებული პროფესორი ქეთევან შოთაძე - მდივანი

საპრეტენზიო კომისია

1. ასოცირებული პროფესორი მადონა მიქელაძე - კომისიის თავმჯდომარე
2. ასოცირებული პროფესორი ნელი ახვლედიანი - წევრი
3. ასოცირებული პროფესორი მარინე გურგენიძე - მდივანი